# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 28

„19“ თებერვალი 2016 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილისის პარკების“, შპს „უძრავი ქონება - თბილისის“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციასთან (შერწყმასთან (მიერთებასთან)) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, $106^1$ მუხლის მე-4 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის $9^1$ და $14^4$ მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 10 თებერვლის N06.18.130 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.მიზანშეწონილად ჩაითვალოს და თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის პარკების“ (ს/ნ 202365573) და შპს „უძრავი ქონება-თბილისის“ (ს/ნ 203826173) შპს „თბილსერვის ჯგუფთან“ (ს/კ 206267494) შერწყმის (მიერთების) და შერწყმის (მიერთების) შედეგად წარმოქმნილი შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ 206267494) - შპს „თბილისის პარკების“ (ს/ნ 202365573) და შპს „უძრავი ქონება-თბილისის“ (ს/ნ 203826173) - სამართალმემკვიდრედ (უფლებამონაცვლედ) განსაზღვრის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი